განკარგულება:**გ-27.27211191**
თარიღი:**29/04/2021**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 27

29 აპრილი 2021წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-19 მუხლის „ბ“ პუნქტისა და 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. დამტკიცდეს თელავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა თანდართული ფორმით.

2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

არჩილი თხლაშიძე

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დანართი

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმა

2021-2022

თელავის მუნიციპალიტეტი

საქართველო

თელავი - ბიზნესისთვის კეთილგანწყობილი

მუნიციპალიტეტი

თელავი

1. მოკლე შეჯამება

გეგმის შემუშავების პროცესში გამოიკვეთა ძირითადი მიმართულებები: ტურიზმი, სოფლის მეურნეობა და შრომის ბაზარი, რომელთა განვითარება იქნება მუნიციპალიტეტის სამომავლო წინსვლის განმაპირობებელი ფაქტორი. ურბანული და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა, მეწარმეთა ხელშეწყობა და სოფლის მეურნეობის განვითარება შექმნის, როგორც მატერიალურ დოვლათს, ასევე მაღალანაზღაურებად სამუშაო ადგილებს, რაც დადებითად აისახება მოსახლეობის კეთილდღეობაზე და მუნიციპალიტეტის ეკონომიკური მახასიათებლების ზრდაზე. აღნიშნული მიზნების განხორციელებას ხელს შეუწყობს სახელმწიფო და ბიზნეს სექტორს შორის ინფორმაციის აქტიური გაცვლა და გამოცდილების გაზიარება, რაც შესაძლებელი იქნება სტრუქტურული მექანიზმების შექმნით და საქმიანი საკომუნიკაციო ქსელის განვითარებით.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმით გათვალისწინებული საქმიანობების დაფინანსება განსაზღვრულია ეროვნული პროგრამების, ადგილობრივი ბიუჯეტის, ბიზნესისა და დონორი ორგანიზაციების მიერ, თუმცა მუნიციპალიტეტის როლი საკმაოდ დიდია დაფინანსების პროცესის სწორად წარმართვაში, კერძოდ კი აუცილებელია ბიზნეს სექტორს დახმარება ინვესტიციების მოზიდვასა და განკარგვაში, ასევე მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ცნობადობის გაზრდა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

2. სარჩევი

1. მოკლე შეჯამება 1
2. სარჩევი 2
3. ცხრილების და გრაფიკების სია 3
   3.1 ცხრილების ჩამონათვალი 3
   3.2 გრაფიკების ჩამონათვალი 3
4. სამოქმედო გეგმის შესავალი 4
5. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი 6
   5.1 ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი 6
   5.2 ადგილობრივი თანამშრომლობა და საქმიანი საკომუნიკაციო ქსელის აგება 9
   5.3 ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი ადმინისტრაცია 10
   5.4 წვდომა ფინანსებზე 10
   5.5 მიწა და ინფრასტრუქტურა 11
   5.6 საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები 11
   5.7 უნარები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა 12
   5.8 გარე პოზიციონირება და მარკეტინგი 13
6. SWOT ანალიზი - ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი 13
7. ხედვა და მიზნები 15
8. სამოქმედო გეგმა 15
9. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები 18

3. ცხრილების, გრაფიკების სია და აბრევიატურები

3.1 ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი N1 - პროფესიული განათლების მიმღებთა რაოდენობები 14

ცხრილი N2 - სამოქმედო გეგმა 17

ცხრილი N3 - დაფინანსების სქემა 19

ცხრილი N4 - ქმედებების შიდა მონიტორინგის გეგმა 20

3.2 გრაფიკების ჩამონათვალი

გრაფიკი N1- თელავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საშუალო ასაკი 6

გრაფიკი N2 - თელავის მუნიციპალიტეტის ძირითადი სექტორები 8

გრაფიკი N3 - ფერმერთა გადანაწილება საქმიანობების მიხედვით 8

გრაფიკი N4 - სასოფლო - სამეურნეო მიწის განაწილება კატეგორიების მიხედვით 9

4. სამოქმედო გეგმის შესავალი

თელავის მუნიციპალიტეტი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთის რეგიონში. არსებული მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და მომსახურების სფეროს გათვალისწინებით, თელავი უფრო მიმზიდველ ადგილად მიიჩნევა საცხოვრებლად, სამუშაოდ და ტურისტული თვალსაზრისით, ვიდრე რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტები.

თელავის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს ადმინისტრაციულ - ტერიტორიულ ერთეულს, რომელსაც აღმოსავლეთით ესაზღვრება ყვარლის მუნიციპალიტეტი, ჩრდილო-აღმოსავლეთით რუსეთის ფედერაციის დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკა, ჩრდილო-დასავლეთით - ახმეტის მუნიციპალიტეტი, სამხრეთ-აღმოსავლეთით - გურჯაანის მუნიციპალიტეტი, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით - საგარეჯოს მუნიციპალიტეტი.

თელავის მუნიციპალიტეტის ფართობი 1095 კმ^2-ია, აქედან სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს 33 156 ჰა უკავია. იგი აერთიანებს ქალაქ თელავსა და 29 სოფელს. მუნიციპალიტეტში 5 (ხუთი) დიდი სოფელია, რომელთა მოსახლეობის რაოდენობა აღემატება 2500 (ორიათას ხუთას) ადამიანს. თელავის მუნიციპალიტეტი ზღვის დონიდან 550-800 მ-ზე მდებარეობს.

აღსანიშნავია ქალაქ თელავის სიახლოვე საქართველოს დედაქალაქ თბილისთან და თბილისის საერთაშორისო აეროპორტთან. მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და დედაქალაქს შორის - 149 კმ-ია (თელავი - ბაკურციხე - თბილისი (2 საათი და 28 წუთი), ხოლო გომბორის უღელტეხილის გავლით გზა - 94 კმ (1 საათი და 49 წუთი). თბილისის საერთაშორისო აეროპორტამდე გომბორის უღელტეხილის გავლით მანძილი შეადგენს 83 კილომეტრს, მანძილის გავლის საშუალო დრო 1 საათი და 30 წუთია.

თელავის მუნიციპალიტეტში არსებობს სარკინიგზო ინფრასტრუქტურა და აეროპორტი „მიმინო“, რომელსაც ამ მომენტისთვის გააჩნია მხოლოდ ერთი ასაფრენი ბილიკი. შესაბამისად, ხორციელდება ფრენები ახლო მანძილზე, მაგალითად თუშეთის მიმართულებით.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2020 წლის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 55 300 ადამიანს შეადგენს. მათ შორის, 35 700 - სოფლად ცხოვრობს, 19600 - ქალაქ თელავში. საქსტატის მონაცემებით, 2010 წელს თელავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენდა 59 700 ადამიანს. შესაბამისად, მუნიციპალიტეტში, როგორც ქალაქად, ასევე, სოფლად, კლების ტენდენციაა, რაც გამოწვეულია, როგორც შიდა და გარე მიგრაციით, ასევე შობადობის დაბალი მაჩვენებლით.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია საქსტატის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემები (მოსახლეობა - 58 347 ადამიანი). ასაკობრივი თვალსაზრისით, 65 წელს გადაცილებულთა რაოდენობა 6 337- ია, რაც მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 16%-ს შეადგენს; შრომისუნარიანი მოსახლეობა (18-64 წლის) 36 576 ადამიანია - საერთო რაოდენობის 63%; 18 წლამდე მოსახლეობის წილი კი 21%-ია (7 893 ადამიანი).

საქსტატის მონაცემებით, ბოლო 10 წელიწადში თელავის მოსახლეობა 4,4 ათასი კაცით შემცირდა, რაც დაახლოებით, 8%-იანი კლებაა.

მიხედვითაც: მამაკაცების საშუალო ასაკი 37.3 წელს შეადგენს, ხოლო ქალების - 41.6-ს. (იხ. გრაფიკი N1).

გრაფიკი N1

<u>თელავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საშუალო ასაკი</u>



შრომისუნარიანი ასაკის ადამიანები მოსახლეობის 66%-ს შეადგენენ.

მუნიციპალიტეტში შეინიშნება მოსახლეობის შიდა და გარე მიგრაცია. შრომისუნარიანი მოსახლეობა მასობრივად გადის საქართველოს სხვა ქალაქებში (ძირითადად თბილისში) და საზღვარგარეთ. აღნიშნული ფაქტი უარყოფით გავლენას ახდენს როგორც მოსახლეობის დემოგრაფიულ მაჩვენებელზე, ასევე კვალიფიციურ მუშახელზე. მუნიციპალიტეტს ტოვებენ ახალგაზრდებიც, შედეგად იკვეთება მოსახლეობის დაბერების ტენდენცია (განსაკუთრებით სოფლად).

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით აუცილებელია ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, მოსახლეობის შემოსავლების მატება, სოციალური ფონის გაუმჯობესება და მიგრაციული პროცესების მართვა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საზღვარგარეთ მყოფი და სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების გამოცდილების, კონტაქტების, ადამიანური და ფინანსური პოტენციალის გამოყენება.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მუნიციპალიტეტში დასაქმების მხრივ მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. დასაქმებულთა რაოდენობა დაახლოებით 96%-ია, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასაქმებულთა დიდი ნაწილი თვითდასაქმებულია სოფლის მეურნეობაში და თავს კვლავ უმუშევრად თვლის. თელავის მუნიციპალიტეტში ძირითადი პრობლემა მძიმე ეკონომიკური ფონია, რაც გამოიხატება უმუშევრობით, შრომის ანაზღაურების საშუალოზე დაბალი მაჩვენებლით, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მაღალი პროცენტით (12%) და მუნიციპალიტეტში არსებულ სოციალურ პაკეტებზე მზარდი მოთხოვნით. ეკონომიკურ მდგომარეობას მაღალი ან საშუალო ანაზღაურებადი სამსახურების სიმცირეც ამძიმებს.

საქსტატის მონაცემებით, 2019 წელს კახეთის რეგიონში უმუშევრობის დონე მხოლოდ 4%-ს შეადგენდა, როცა საქართველოს მასშტაბით 11,6% იყო. ასეთ დაბალ მაჩვენებელს უმუშევრობის დონის გამოთვლის მეთოდოლოგია განაპირობებს (ქვეყანაში სოფლად მცხოვრები მოსახლეობის უმუშევრობის დონე 5.5%-ია, რაც მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ქალაქად მცხოვრები მოსახლეობის უმუშევრობის დონეს - 17.4%-ს). ფაქტია, რომ ქალაქებში დასაქმების შესაძლებლობები და ანაზღაურება გაცილებით მეტი და მრავალფეროვანია.

მუნიციპალიტეტში არსებულ მძიმე ეკონომიკურ ფონზე მეტყველებს ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს დაბალი მაჩვენებელი. საქსტატის მონაცემებით, თბილისთან შედარებით, კახეთში მშპ ერთ სულ მოსახლეზე 3-ჯერ ნაკლებია, საქართველოს საშუალო მაჩვენებელზე კი - 1.6-ჯერ მცირე. ეს მაშინ, როცა უმუშევრობის დონე ბევრად დაბალია სხვა რეგიონებთან შედარებით.

თელავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმის წარმატებით განხორციელებისთვის, აუცილებელია სამოქალაქო და ბიზნეს სექტორის აქტიური ჩართულობა მისი მიმდინარეობის ყველა ეტაპზე. ადგილობრივი ეკონომიკური გეგმით გათვალისწინებული პროექტების დაფინანსება მოხდება როგორც ბიზნეს სექტორის და დონორი

ორგანიზაციების მხარდაჭერით, ასევე თელავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით. საჭირო თანხები გათვალისწინებული იქნება მუნიციპალიტეტის შემდგომი წლების ბიუჯეტშიც.

5. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი

5.1 ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი

თელავის მუნიციპალიტეტი მდიდარია ნაყოფიერი ნიადაგებით, ხე-ტყის რესურსით, გოგირდოვანი წყაროებით, ეკოლოგიურად სუფთა სასმელი წყლის დებეტით, ჰიდროენერგეტიკული რესურსებით, ფიქალ-მარმარილოს საბადოებით, საძოვრებით და ტყის მასივებით.

ეკონომიკისა და მოსახლეობის რაოდენობის მხრივ, თელავის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი ყველაზე დიდია კახეთის რეგიონში. ეკონომიკის ძირითადი სექტორებია: ვაჭრობა, სოფლის მეურნეობა და ტურიზმი. სოფლის მეურნეობის დარგებიდან უმსხვილესია: მეცხოველეობა, მემინდვრეობა და მეღვინეობა-მევენახეობა. ასევე, თელავის მუნიციპალიტეტი კახეთის რეგიონში გამოირჩევა ბიზნეს სექტორის მიერ გამოშვებული პროდუქციის ყველაზე დიდი წილით. 2018 წლის მონაცემებით, პროდუქციის გამოშვებამ 538 მლნ. ლარი შეადგინა, რაც მთლიანად კახეთის წარმოების 47%. ბოლო ორ წელიწადში პროდუქციის წარმოება 11%-ით გაიზარდა. თელავი კახეთის უდიდეს შრომის ბაზარს წარმოადგენს. რეგიონში დასაქმებულთა 39% (8 434 ადამიანი) სწორედ თელავის მუნიციპალიტეტშია დასაქმებული. აღსანიშნავია, რომ საშუალო ყოველთვიური ანაზღაურება 2018 წლის მონაცემებით, 627 ლარია, რაც საქართველოს არსებულ საშუალო ხელფასს (1286 ლარი)საგრძნობლად ჩამორჩება.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ხვედრითი წილით გამოირჩევა მრეწველობა, მათ შორის ღვინის ქარხნები. 42 სამრეწველო საწარმოდან 28 მცირე და საშუალო ღვინის ქარხანაა, 31 - საოჯახო მარანი. მათ მიერ ექსპორტირებული პროდუქციის საერთო რაოდენობა წელიწადში 15 მილიონ ბოთლს აღწევს, რაც მთელი საქართველოს ექსპორტის დაახლოებით 20% შეადგენს. გარდა ამისა, სხვადასხვა ქვეყნებში ხდება ყველისა და ჩირის ექსპორტი.

რეგისტრირებული სუბიექტების მიხედვით ადგილობრივი ეკონომიკის ძირითადი სექტორებია ვაჭრობა (53%), სოფლის მეურნეობა (28%), მრეწველობა (5%), მშენებლობა (5%) და მომსახურება (9%). 2017 წლისათვის თელავის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 1000-მდე სამეწარმეო სუბიექტი (იხ. გრაფიკი N2).

გრაფიკი N2



სოფლის მეურნეობა თელავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი სექტორია. აღნიშნულ სექტორში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ფერმერთა ურთიერთთანამშრომლობის დაბალი დონე, რაც გამოიხატება მათ მიერ შექმნილი კოოპერატივების სიმცირეში. 2019 წლის მდგომარეობით, თელავის მუნიციპალიტეტში 1 190 აქტიური ფერმერია რეგისტრირებული, ხოლო რეგისტრირებული კოოპერატივების რაოდენობა შეადგენს 30-ს. სოფლის მეურნეობის ყველაზე განვითარებული დარგებია: მეღვინეობა-მევენახეობა (585), მეცხოველეობა (244), რძის წარმოება (144), ხილის წარმოება (120) და მეფუტკრეობა (98). თელავის მუნიციპალიტეტში 59 აქტიური სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საწარმოა, რომლებიც მეტწილად მოღვაწეობენ ზემოთ აღნიშნულ დარგებში. (იხ. გრაფიკი N3).

გრაფიკი[1] N3



[1] ზოგიერთი ფერმერი საქმიანობს რამდენიმე სექტორში, ამიტომ გრაფიკზე მოცემული მონაცემების ჯამი არ იქნება აქტიური ფერმერების რაოდენობის ტოლი

თელავის მუნიციპალიტეტში 38 576 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაა. აღნიშნული ტერიტორიების 39% საძოვარია, 35% სახნავ-სათესი, 19% - მრავალწლოვანი ნარგავები და 7% - საკარმიდამო. აღსანიშნავია, რომ თელავის მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების 38% (14650) სახელმწიფოს მფლობელობაშია. ფართობების 93% (13 614 ჰა) საძოვრებია, ხოლო 7% (1 036 ჰა) - სახნავ-სათესი. (იხ. *გრაფიკი N4*).

გრაფიკი N4

სასოფლო - სამეურნეო მიწის განაწილება კატეგორიების მიხედვით



ბიზნეს სექტორთან და ფერმერებთან შეხვედრებმა ცხადყო, რომ მეწარმეებისა და ფერმერების საქმიანობის ხელშეწყობის და განვითარებისთვის საჭიროა მუნიციპალიტეტის და სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული მიწების პრივატიზაცია მსხვილ ნაწილებად.

ტურიზმის თვალსაზრისით, კახეთი, კერძოდ კი თელავი, საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული კუთხეა. ისევე, როგორც მთლიანად საქართველოში, თელავშიც შეინიშნება ტურისტული ნაკადების ყოველწლიური მატება. 2019 წლის მონაცემებით კახეთის რეგიონში შემოსული ტურისტების რაოდენობა ყოველთვიურად 16-დან 70 ათასამდე მერყეობს, საიდანაც დაახლოებით 70-80% სტუმრობს თელავს. მიუხედავად იმისა, რომ თელავი არის ტურისტულად აქტიური მუნიციპალიტეტი, პრობლემას წარმოადგენს მოკლევადიანი ვიზიტები (1-2 დღე), რაც განპირობებულია იმით, რომ ტურისტული ინფრასტრუქტურა მოუწყობელია და ტურისტული მიმართულებები საჭიროებს გამრავალფეროვნებას. სტატისტიკურად საქართველოში ჩამოსული ტურისტი ხარჯავს დაახლოებით 364 აშშ დოლარს (დაახლოებით 965 ლარი), რაც შედარებით დაბალი მაჩვენებელია საქართველოს შესადარ ქვეყნების მაჩვენებლებთან (500-800 აშშ დოლარამდე (დაახლოებით 1325-2120 ლარი)).

ტურიზმის ყველაზე აქტიური მიმართულებებია: ღვინის, გამაჯანსაღებელი, კულტურული და გასტრონომიული ტურიზმი.

მუნიციპალიტეტში მრავალადაა, როგორც მაღალი კლასის, ასევე საოჯახო ტიპის სასტუმროები. 2018 წელს სოფელ წინანდალში გაიხსნა საერთაშორისო ბრენდის სასტუმრო -

„Radisson Collection“, ხოლო 2019 წელს ქალაქ თელავში გაიხსნა კიდევ ერთი საერთაშორისო ბრენდის სასტუმრო - „Holiday Inn“. თელავის მუნიციპალიტეტში 2020 წლის მონაცემებით ფუნქციონირებს 33 სასტუმრო (2560 საწოლი) და 65 საოჯახო ტიპის სასტუმრო (900 საწოლი).

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 4 სატრანსპორტო ორგანიზაცია. ამ კომპანიებიდან ერთი ემსახურება საქალაქთაშორისო მარშრუტებს, ხოლო სამი - შიდა მუნიციპალურ და სარაიონთაშორისო მარშრუტებს. რაც შეხება სატვირთო გადაზიდვებს, მას ემსახურებიან კერძო პირები, ხოლო ტვირთმზიდი კომპანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ ფუნქციონირებს.

თელავის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი (სტუდენტების რაოდენობა 2019 წელს - 1420), ხოლო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს პროფესიული კოლეჯი „პრესტიჟი“ და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი (სტუდენტების რაოდენობა 2019 წელს - 445). უმაღლესი და პროფესიული განათლების სექტორის განვითარება საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტს შეამციროს დისბალანსი შრომის ბაზარზე და გაზარდოს სამუშაო ძალის დივერსიფიკაცია შრომის ბაზარზე კადრების ცოდნისა და უნარების ამაღლებით.

5.2 ადგილობრივი თანამშრომლობა და საქმიანი საკომუნიკაციო ქსელის აგება

თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბიზნეს კომპანიები პასიურად თანამშრომლობენ როგორც ადგილობრივ თვითმმართველობასთან, ასევე ერთმანეთთან. მათი ურთიერთობა პირადი ხასიათისაა და კერძო კონტაქტებით შემოიფარგლება.

არ ხდება ინსტიტუციურ დონეზე ინფორმაციის გაცვლა და გამოცდილების გაზიარება. არ არსებობს სტრუქტურული მექანიზმები კოალიციური საქმიანობის განხორციელებისთვის, რაც უფრო ეფექტურს გახდიდა მათ მუშაობას.

მიუხედავად სახელმწიფოს და საერთაშორისო ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევით განხორციელებული მთელი რიგი ღონისძიებებისა, კვლავაც აქტუალურია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის საკითხი, რაც ხელს შეუწყობს საქმიანი საკომუნიკაციო ქსელის აგებას. ამ მხრივ, სახელმწიფო პროგრამები და საერთაშორისო ორგანიზაციები ეხმარებიან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს არა მხოლოდ ფინანსურ გაძლიერებაში, არამედ კვალიფიკაციის ამაღლებაში ერთობლივი ტრეინინგებისა და სწავლების გზით.

რეგიონში მიმდინარეობს სახელმწიფო პროგრამები: „აწარმოე საქართველოში“, „დანერგე მომავალი“ აგრო-სესხების პროგრამა, სოფლის მეურნეობის მცირე და დიდი გრანტები და ა.შ. ასევე, მუნიციპალიტეტში 2020 წლის მონაცემებით ფუნქციონირებს 11 ბანკი და 8 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, სადაც მცირე მეწარმეებს საშუალება აქვთ დაბალპროცენტიანი სამეურნეო სესხები საკუთარი ბიზნესის განვითარებისათვის გამოიყენონ.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა მუნიციპალიტეტში არსებობდეს რაიმე კონკრეტული გრძელვადიანი ხედვა/სტრატეგია, რომელიც მიმართული იქნება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობაზე.

5.3 ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი ადმინისტრაცია

ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი ადმინისტრაცია ადგილობრივი ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს. თელავის ადგილობრივი თვითმმართველობა ორიენტირებულია მიმზიდველი ბიზნეს-გარემოს შექმნასა და განვითარებაზე. თუმცა, მის მიერ განხორციელებული საქმიანობა არ არის სტრუქტურული ხასიათის. მუნიციპალიტეტში არ არსებობს კონკრეტული სამსახური, ან მაკავშირებელი რგოლი, სადაც ბიზნესს სექტორის წარმომადგენლები მიიღებენ სრულ და ამომწურავ ინფორმაციას მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე.

თელავის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია თავსდება მერიის ვებ-გვერდზე (telavi.gov.ge), რომელიც ყოველდღიურად იხვეწება და უმჯობესდება. ასევე, მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული ყველა ტენდერის და აუქციონის შესახებ ინფორმაცია თავსდება შესაბამის ვებ-გვერდებზე (procurement.gov.ge; eauction.ge), სადაც დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ წარადგინონ წინადადებები.

თელავის მუნიციპალიტეტის მერი კვირაში ერთხელ ხვდება მოქალაქეებსა და დაინტერესებულ პირებს პრობლემური საკითხების განხილვის მიზნით. მიმდინარეობს თელავის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ჩამოყალიბება, სადაც შევლენ როგორც არასამთავრობო, ასევე ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები. ასევე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომები ღიაა მოქალაქეებისთვის, მათ საშუალება აქვთ დააფიქსირონ საკუთარი შეხედულებები და წარმოადგინონ ინიციატივები. თუმცა, ბიზნესის წარმომადგენლების მხრიდან, მერისა და საკრებულოსადმი მიმართვების რაოდენობა საკმაოდ მცირეა.

თელავის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ადგილობრივი ტელევიზია, რამდენიმე გაზეთი და ინტერნეტ-მედია, რომლებიც აქტიურად აშუქებენ თელავის მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებს, ადგილობრივ და რეგიონულ სიახლეებს, ასევე, თელავის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს საქმიანობას.

5.4 წვდომა ფინანსებზე

ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან ჩატარებულმა შეხვედრებმა აჩვენა, რომ ფინანსურ რესურსებზე წვდომა უმთავრესი პრობლემაა მცირე და საშუალო ბიზნესის წარმოებისა და ახალი საქმიანობის დაწყებისთვის. თელავის მუნიციპალიტეტი ვერ უწევს ფინანსურ მხარდაჭერას ადგილობრივ ბიზნესს. მეწარმეებისთვის არსებობს ფინანსების მიღების სამი ძირითადი შესაძლებლობა: 1. საბანკო სექტორი; 2. სახელმწიფო პროგრამები; 3. დონორი ორგანიზაციები. ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს საბანკო სექტორიდან შეუძლიათ ისარგებლონ ბიზნეს სესხით, აგრო სესხით და იპოთეკური სესხით. სახელმწიფო პროგრამებიდან შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ისეთ პროგრამებში, როგორიცაა: დანერგე მომავალი, შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამა, აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა, კოოპერატივების ხელშეწყობის პროგრამა (მიზნობრივი) და აწარმოე საქართველოში, რომელიც თავისთავში მოიცავს: უმასპინძლე საქართველოში, მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამას და ასე შემდეგ, ხოლო დონორი ორგანიცაიებისგან შეუძლიათ ისარგებლონ გამოცხადებული გრანტების

მოპოვებით. თითოეულ მათგანზე ხელმისაწვდომობას, როგორც ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები აღნიშნავენ, აქვს ხელისშემშლელი ფაქტორები. საბანკო სექტორის შემთხვევაში, ეს არის სესხის მაღალი პროცენტი და გირაოს აუცილებლობა. სახელმწიფო პროგრამების, ისევე როგორც დონორი ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტების შემთხვევაში, ბიზნესისთვის ხელისშემშლელი ფაქტორებია ინფორმაციის ნაკლებობა და აღნიშნული ორგანიზაციების მხრიდან ახალ და მცირე ბიზნესის განვითარებაზე ნაკლებად მორგებული პროდუქტები. მიუხედავად ასეთი სირთულეებისა, თელავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული აგრო კრედიტით 2017 წელს 658 ბენეფიციარმა ისარგებლა, რომლის მთლიანმა მოცულობამ 60 860 609 ლარი შეადგინა. ასევე, პროექტის - „დანერგე მომავალი“ ფარგლებში გაცემული ტრანსფერები 2017 წელს 2 558 078 ლარია, ხოლო 2014 – 2016 წლებში კოოპერატივების დაფინანსებამ ENPARD-ის და კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მიერ, ჯამური ღირებულებით 148 750 ლარი შეადგინა.

5.5 მიწა და ინფრასტრუქტურა

ბიზნესის განვითარებისთვის აუცილებელია კონკრეტული, თანამედროვე სტანდარტებით უზრუნველყოფილი სამუშაო არეალი, სადაც მეწარმე შეძლებს ფეხი აუწყოს თანამედროვე მოთხოვნებსა და სტანდარტებს, რათა მისი წარმოება იყოს რენტაბელური და გაფართოებაზე ორიენტირებული. თელავის მუნიციპალიტეტში კერძო სექტორის მხრიდან ყოველწლიურად იზრდება მოთხოვნა მიწაზე, შენობა-ნაგებობებსა და ინფრასტრუქტურის მოწყობაზე. ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, 2018 წელს აგვისტოს თვის ჩათვლით თელავის მუნიციპალიტეტმა 104 600 ლარის ღირებულების ქონება გასცა იჯარით, ხოლო მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული საპრივატიზაციო ნუსხის მიხედვით, ინტენსიურად ხდება ქონების გასხვისება ბიზნეს სექტორსა თუ დაინტერესებულ ფიზიკურ პირებზე. მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ქონების საწყისი ჯამური ღირებულება 2020 წლის მდგომარეობით შეადგენს დაახლოებით 750 000 ლარს, რომელსაც პერმანენტულად ემატება გასასხვისებელი ქონებები. 2020 წლის ბიუჯეტით განხორციელდა 1013439 ლარზე მეტი ღირებულების ქონების პრივატიზაცია, ხოლო 2021 წლის ბიუჯეტით დაგეგმილია 1000000 ლარის ღირებულების ქონების პრივატიზაცია.

თელავის მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანია ერთიანი ბიზნეს სივრცეების შექმნა, აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, მუნიციპალიტეტმა „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს“ გადასცა შენობა, რომელშიც 2018 წელს მოეწყო რეგიონული ჰაბი - ტექნოპარკი თელავი. ასევე, მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს მუშაობა ბიზნეს ინკუბატორის დაარსებასთან დაკავშირებით.

5.6 საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები

საქართველო, ბიზნესის კეთების სიმარტივით, მსოფლიოში ერთ-ერთ მოწინავე ადგილს იკავებს (მე-6 ადგილი). მიუხედავად ამისა, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრებმა ცხადყო, რომ მეწარმეები გამოთქვამენ უკმაყოფილებას ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა უსაფუძვლო წესების, რეგულაციების და ადმინისტრაციული ბარიერების არსებობა. მაგალითად, მშენებლობის და იჯარის ნებართვის მიღება, მათი განმარტებით, დროშია გაწელილი და რამდენიმე თვეს საჭიროებს. მსგავსი ბიუროკრატიული მექანიზმები აფერხებს დროულ რეაგირებას ბაზარზე, რაც ხშირ შემთხვევაში არაეფექტურს ხდის საქმიანობის

წამოწყებას, ყოველივე ეს მეტყველებს იმაზე, რომ სუსტადაა განვითარებული მუნიციპალური სერვისები და საჭიროებს მეტ მოქნილობას.

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მეწარმეებისთვის ბაზარზე იმპორტირებული საქონლის კონკურენტული ფასი, რის გამოც ადგილობრივი წარმოების პროდუქციის რეალიზება ფერხდება და მეწარმე ექსპორტზე გატანასაც ვერ ახერხებს. აღნიშნული ფაქტორი ასევე აზარალებს ნატურალური, არაგენმოდიფიცირებული პროდუქციის წარმოებას. ჩატარებულმა სამუშაო შეხვედრებმა გამოკვეთა საკანონმდებლო შეღავათების შექმნის აუცილებლობა, რომელზედაც ადგილობრივი საჭიროებების გათვალისწინებით, სახელმწიფო დონეზე ჩართული იქნება სპეციალური წარმომადგენელი.

5.7 უნარები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა

თელავის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელსაც საკმაოდ დიდი ინფრასტრუქტურა გააჩნია. აღნიშნულ უნივერსიტეტში 2018 წლის მონაცემებით სწავლობს 1420 სტუდენტი. საბაკალავრო პროგრამებს შორის ყველაზე პოპულარულია ისტორიის, სასურსათო ტექნოლოგიების, ბიოლოგიის, ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამები, ხოლო მაგისტრატურის პროგრამებს შორის, ყველაზე პოპულარულია - ბიზნეს ადმინისტრირება და კვების პროდუქტების ტექნოლოგიები.
2018 წლის მონაცემებით, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის გარდა, მუნიციპალიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს პროფესიული კოლეჯი „პრესტიჟი“. 2015 წლის მონაცემებთან შედარებით, პროფესიული განათლების მიმღებთა რაოდენობა თელავის პროფესიულ სასწავლებლებში გაზრდილია, მაშინ, როდესაც დედაქალაქ თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში კლებადი ტენდენცია შეინიშნება (იხ. ცხრილი N1).

პროფესიული განათლების მიმღებთა რაოდენობები (ცხრილი N1)

	2015	2016	2017
თელავი	388	339	445
თბილისი	8175	7284	7056
საქართველო	16773	15639	15632

განსაკუთრებით პოპულარობით სარგებლობს მეღვინის, მეტყევის, მზარეულისა და ბუღალტრის პროფესიები. აღნიშნული პროფესიები თანხვედრაშია ბიზნეს სექტორის მიერ თელავში მოთხოვნად ვაკანსიებთან.

მიუხედავად თელავის მუნიციპალიტეტში არსებული უმაღლესი თუ პროფესიული განათლების დაწესებულებების ფუნქციონირებისა, დიდია ისეთი ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც საშუალო განათლების მიღების შემდეგ, სწავლის გაგრძელებას თბილისის უნივერსიტეტებში ცდილობენ. მათი უმრავლესობა სწავლის დასრულების შემდეგ, უკეთესი ანაზღაურებისა და სამუშაო პირობების გამო, თელავის მუნიციპალიტეტში საცხოვრებლად აღარ ბრუნდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს უჭირთ კვალიფიციური კადრების მოძიება და ისინი მხოლოდ თელავის მუნიციპალიტეტში არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულების იმედად რჩებიან. ამ მიმართულებით წარმატებით შეიძლება ქართული დიასპორის შესაძლებლობების გამოყენება,

კერძოდ, კავალიფიციური დიასპორელების მოწვევა კონსულტანტების სტატუსით და მათი გამოცდილების გაზიარება სხვადასხვა მიმართულებით.

5.8 გარე პოზიციონირება და მარკეტინგი

თელავის მუნიციპალიტეტი გამორჩეულია მისი კულტურული, ეკოლოგიური, ტურისტული, ურბანული თუ სხვა თავისებურებებით, რაც შედარებით მიმზიდველს ხდის მას როგორც საცხოვრებლად და სამუშაოდ, ისე ბიზნესის კეთების თვალსაზრისით.

მუნიციპალიტეტის ძლიერ მხარეს წარმოადგენს საქართველოს დედაქალაქთან და თბილისის საერთაშორისო აეროპორტთან სიახლოვე. აღსანიშნავია თელავის აეროპორტის არსებობაც, რომელსაც შესაძლებლობა აქვს განახორციელოს როგორც სატრანსპორტო გადაზიდვები, ასევე მუნიციპალიტეტში ჩამოსული ტურისტებისთვის გასართობი დანიშნულების ფრენები.

ქალაქის ცნობადობის ზრდას ხელს უწყობს საზღვარგარეთის 11 დამეგობრებული ქალაქი, რომლებთანაც მიმდინარეობს აქტიური მუშაობა მემორანდუმით გათვალისწინებულ ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: კულტურა, განათლება, სპორტი, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა და ა.შ.

თელავის მუნიციპალიტეტის გარე პოზიციონირებისა და ცნობადობის გაზრდას ხელს უწყობს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი, რომელსაც ყოველდღიურად ათობით ტურისტი სტუმრობს. 2017 წლის მონაცემებით, თელავის მუნიციპალიტეტში მოქმედებს 5 სამედიცინო სტაციონარი - ჯამში 226 საწოლი ადგილით, რომლებიც ემსახურებიან როგორც კახეთის რეგიონის მოსახლეობას, ასევე მეზობელი ქვეყნებიდან სამკურნალოდ ჩამოსულ ადამიანებს.

საერთაშორისო ფესტივალებსა და ბაზრობებზე ყოველწლიურად მონაწილეობას იღებენ თელავის მუნიციპალიტეტში არსებული სხვადასხვა ღვინის კომპანიები, რომელთა მიერ ნაწარმოები პროდუქცია მოწინავე პოზიციებს იკავებს და ცნობადს ხდის მუნიციპალიტეტს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის საზღვრებს გარეთაც. გამოუყენებელია ქართული დიასპორის პოტენციალი, რომელსაც შეუძლია აქტიური მხარდაჭერა გაუწიოს მუნიციპალიტეტს და განახორციელოს ქართული პროდუქციის პოპულარიზაცია, ასევე შესაძლებელია მათ მიმღები ქვეყნების ბიზნეს-სუბიექტებთან ეკონომიკური კავშირების დამყარების ხელშეწყობა.

თელავის მუნიციპალიტეტის მერია ცდილობს ხელი შეუწყოს ეკონომიკის განვითარებას, ახალი მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნასა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას.

6. SWOT ანალიზი - ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
✓ სიახლოვე დედაქალაქთან და თბილისის საერთაშორისო აეროპორტთან: ✓ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიუხვე; ✓ მრავალფეროვანი და ლამაზი ბუნება;	✓ ბუნებრივი რესურსების პოტენციალის გამოუყენებლობა; ✓ მიწების დანაწევრება; ✓ მოსახლეობის დაბერების ტენდენციები; ✓ მიგრაციული პროცესები („ტვინების გადინება“);

✓ ხელსაყრელი კლიმატი და ნაყოფიერი ნიადაგები; ✓ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სიუხვე; ✓ საგანმანათლებლო ბაზა; ✓ ხელსაყრელი პირობები გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებისათვის; ✓ აეროპორტის ფუნქციონირება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; ✓ სოფლის მეურნეობის პროდუქციის დიდი ასორტიმენტი; ✓ მევენახეობისა და მეღვინეობის ისტორიული კუთხე; ✓ სასტუმროების და საოჯახო ტიპის სასტუმროების სიუხვე; ✓ წყლის რესურსების სიუხვე; ✓ მუნიციპალიტეტის ეკონომიკის დიდი მოცულობა რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით;	✓ მუნიციპალური სერვისების სუსტი მიწოდება; ✓ ახალი ტექნოლოგიების გამოყენების დაბალი ინტენსივობა; ✓ ფერმერთა კოოპერაციის დაბალი დონე; ✓ ფერმერებსა და მყიდველებს შორის წინასწარი ეფექტური საკონტაქტო სისტემის არარსებობა; ✓ თვითმართველობასა და ბიზნეს შორის კომუნიკაციის ნაკლებობა; ✓ არასრულყოფილი ტურისტული ინფრასტრუქტურა; ✓ კვალიფიციური კადრების დეფიციტი; ✓ ახალი და მცირე ბიზნესისთვის ფინანსურ რესურსებზე წვდომა; ✓ დამოკიდებულება ცენტრალური ბიუჯეტის ტრანსფერზე;
შესაძლებლობები/პერსპექტივები	**საფრთხეები/რისკები**
✓ სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავება; ✓ გრძელვადიანი და იაფი საკრედიტო რესურსების მოძიება ახალი და მცირე საწარმოებისათვის; ✓ შიდა აეროპორტის განვითარება; ✓ მუნიციპალიტეტსა და ბიზნეს შორის სტრუქტურული საკომუნიკაციო მექანიზმის შექმნა; ✓ მუნიციპალიტეტსა და ბიზნეს სექტორს შორის გრძელვადიანი სტრატეგიის შექმნა; ✓ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (საკემპინგე ადგილები და ა.შ.); ✓ საგანმანათლებლო ბაზის განვითარება; ✓ მიგრანტების (დიასპორის) შესაძლებლობების გამოყენება.	✓ პოლიტიკური არასტაბილურობა; ✓ მოსახლეობის მიგრაცია („ტვინების გადინება“); ✓ საქონლისა და ნარგავების დაავადებების მასიური გავრცელება; ✓ სტიქიური მოვლენები; ✓ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის შეფერხება. ✓ პანდემია (კოვიდ 19)

თელავის მუნიციპალიტეტის ორგანოების წარმომადგენლებისა და გეგმაზე მომუშავე ჯგუფის მიერ ჩატარებული სამუშაო შეხვედრების, კვლევებისა და ანალიზის შედეგად

დადასტურდა, რომ თელავის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელია საზოგადოებისა და ბიზნეს სექტორის მაქსიმალური ჩართულობით, ეფექტური მექანიზმების შექმნა, რათა დროულად მოხდეს პრობლემური საკითხების მოგვარება. მუნიციპალიტეტის ეკონომიკური შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება საშუალებას მოგვცემს ხელი შევუწყოთ სოფლის მეურნეობის დარგების, ასევე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას და შევქმნათ კონკურენტუნარიანი შრომის ბაზარი, რაც უზრუნველყოფს მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნას. ყოველივე ეს კი დადებითად აისახება მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ კეთილდღეობაზე.

7. ხედვა და მიზნები

თელავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის ეფექტური განხორციელების შედეგად, თელავი იქნება ბიზნესისათვის კეთილგანწყობილი მუნიციპალიტეტი. საზოგადოებისა და ბიზნეს სექტორის მაქსიმალური ჩართულობით და ეფექტური მექანიზმების შექმნით, ხელი შეეწყობა ძლიერი და მდგრადი ეკონომიკური გარემოს შექმნას, რაც უზრუნველყოფს ურბანულ, ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, განათლებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების დინამიურ განვითარებას და მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების მატებას.

მიზნები

1. ბიზნესის წარმოების და მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა;
2. ურბანული და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება;
3. სოფლის მეურნეობაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და განვითარების ხელშეწყობა;

8. სამოქმედო გეგმა

(ცხრილი N2)

თემატური ბლოკები	*მთავარი მიზნები*	*ქმედებები*	*ხანგრძლივობა (დაწყება)*	*მონაწილე პარტნიორები*	*საორიენტაციო ღირებულება ეროვნულ ვალუტაში (ექვივალენტი ევროში)*	*მონიტორინგის მაჩვენებლები / მყისიერი შედეგების ინდიკატორები (Output (Product) indicators and targets)*	*შედეგები / საბოლოო შედეგების ინდიკატორები (Outcome (Result) Indicators and targets)*

უნარებისა და ადამიანური კაპიტალის განვითარება მიწა და ინფრასტრუქტურა	ბიზნესის წარმოების და მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა	სოციალურ-ეკონომიკური ცენტრის მოწყობა	2021-2022 წელი	1.თელავის მუნიციპალიტეტის მერია 2.თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო 3.ააიპ ,, თემი და გარემო“	140000 ლარი	თელავის მუნ. მერიის ბალანსზე არსებულ შენობა ნაგებობის პირველ და მეორე სართულზე მოეწყობა თავისუფალი სივრცეები, განლაგდება შესაბამისი ტექნიკა და დასაქმდება კვალიფიცირებული კადრი.	ისარგებლებს თავისუფალი სივრცით და მიიღებს სოციალურ-ეკონომიკურ მომსახურებას ბიზნეს სექტორი და ადგილობრივი მოსახლეობა
	ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება	დასასვენებელი პარკების ,, ნადიკვრის“ რეაბილიტაცია	2021 წელი	1.თელავის მუნიციპალიტეტის მერია	310 000 ლარი	თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოეწყობა ტურისტული ინფრასტრუქტურა	გაუმჯობესდება ტურისტული პროდუქტის მიწოდება
გარე პოზიციონირება და მარკეტინგი	ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება	გაცვლითი პროგრამები დამეგობრებულ ქალაქებში (კულტურული, სპორტული და საგანმანათლებლო)	2021-22 წელი	1.თელავის მუნიციპალიტეტი	50000 ლარი	დამეგობრებულ ქალაქებში გაცვლითი პროგრამების განხორციელება.	ტურისტების რაოდენობის მატება და ცნობადობის გაზრდა
		ელექტრონული ტურისტული რუკის შექმნა	2022 წელი	1. თელავის მუნიციპალიტეტი 2.დონორი ორგანიზაციები	100 000 ლარი	თელავის მუნ. ტერიტორიაზე მოეწყობა სამი ელ. დაფა, სადაც განთავსდება ინფორმაცია ტურისტული ობიექტების შესახებ	ტურისტული მომსახურების გაუმჯობესება
მიწა და ინფრასტრუქტურა	სოფლის მეურნეობაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და განვითარების ხელშეწყობა	მიწის ხარისხის განსაზღვრის ლაბორატორია	2021-2022 წელი	1.თელავის მუნიციპალიტეტის მერია	20 000 ლარი	თელავის მუნ. ტერიტორიაზე მოეწყობა მიწის ხარისხის განსაზღვრის ლაბორატორია, განლაგდება შესაბამისი ტექნიკა და დასაქმდება კვალიფიციური კადრები.	მიწის ხარისხის განსაზღვრის მომსახურებას მიიღებს ბიზნესს სექტორი და მოსახლეობა
		სოფლის მეურნეობის საწარმოების რუკის შექმნა	2022 წელი	1.თელავის მუნიციპალიტეტის მერია 2.სოფლის მეურნეობის კახეთის რეგიონალური სამმართველო 3.დონორი ორგანიზაციები	25 000 ლარი	თელავში არსებული საწარმოების შესახებ ბუკლეტების დაბეჭდვა-გავრცელება	მოსახლეობისა და დაინტერესებული პირები მიიღებენ ინფორმაციას საწარმოების შესახებ

მიწა და ინფრასტრუქტურა	ბიზნესის წარმოების და მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა	საკოვენციო ცენტრის შექმნა	2021-2022	1.თელავის მუნიციპალიტეტის მერია 2.დონორი ორგანიზაციები	4 000000 ლარი	ქალაქის ტურისტულ ნაწილში მოეწყობა ინფრასტრუქტურა	1.ახალი სამუშაო ადგილები 2.გაუმჯობესდება ტურისტული პროდუქტის მიწოდება.
მიწა და ინფრასტრუქტურა გარე პოზიციონირება და მარკეტინგი	ბიზნესის წარმოების და მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება	ტურისტული საკვირაო ბაზრობის მოწყობა	2021-2022 წელი	1. თელავის მუნიციპალიტეტის მერია 2. ბიზნესს სექტორი 3. DMO	70 000 ლარი	ქალაქის ტურისტულ ნაწილში მოეწყობა სავაჭრო ინფრასტრუქტურა, დაიდგმება ხის სავაჭრო კოტეჯები	1. ახალი სამუშაო ადგილები 2.ადგილობრივი გადასახადები დან შემოსავლის ზრდა
		თელავი კონფერენციების ქალაქი	2021-2022 წელი	1.თელავის მუნიციპალიტეტის მერია 2.ბიზნეს სექტორი 3.მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) 4.დონორი ორგანიზაციები	120 000 ლარო	თელავის მუნ. არსებულ ობიექტებზე მოეწყობა საკონფერენციო ინფრასტრუქტურა	თელავი გახდება ბიზნეს კონფერენციების ჩატარების ცენტრი
		თელავი ფესტივალების ცენტრი	2021-22022 წელი	1.თელავის მუნიციპალიტეტი 2.ბიზნეს სექტორი 3.დონორი ორგანიზაციები	70 000 ლარი	თელავში ჩასატარებელი ფესტივალების ელექტრონული აპლიკაციის შექმნ. ბუკლეტების დაბეჭდა გავრცელება	თელავი გახდება ფესტივალების ჩატარების ცენტრი
		მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	2021-2022	1.თელავის მუნიციპალიტეტის მერია. 2. რეგიონალური განვითარების ფონდი	4000000 ლარი	თელავში გაუმჯობესდება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა .	თელავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა და ტურისტები მარტივად შეძლებენ დანიშნულების ადგილებზე გადაადგილებას.
		ურბანული და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	2021-2022 წელი	1.თელავის მუნიციპალიტეტის მერია. 2. რეგიონალური განვითარების ფონდი	1100000 ლარი	თელავის მუნიციპალიტეტში მოეწყობა ტურისტულ ობიექტებამდე მისასვლელი გზები.	თელავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა და ტურისტები მარტივად შეძლებენ დანიშნულების ადგილებზე გადაადგილებას.
		ახალი ტურისტული ბილიკების და პარკების	2022	1.თელავის მუნიციპალიტეტის მერია.	15000000	თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (შვიდი ბორცვი)	გაუმჯობესდება ტურისტული პროდუქტის მიწოდება.

		ინფრასტრუქტურის მოწყობა (შვიდი ბორცვი)		2. რეგიონალური განვითარების ფონდი		მოეწყობა ახალი ტურისტული ინფრასტრუქტურა.	

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ პროექტებს განახორციელებს თელავის მუნიციპალიტეტის მერია, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და სხვა დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით.

10. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები

თელავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმის წარმატებით განსახორციელებლად მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს მონიტორინგის საკითხი, რაც გულისხმობს როგორც გეგმის ეფექტურობის განსაზღვრას, ასევე სამომავლო ღონისძიების დაგეგმვასა და სწორად წარმართვას. აღნიშნულის გათვალისწინებით, აუცილებლად მიგვაჩნია მონიტორინგის საბჭოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაო პროცესის დაკვირვებას, შეფასებას და პერიოდული ანგარიშების წარდგენას როგორც თელავის მუნიციპალიტეტის მერთან, ასევე საზოგადოების დაინტერესებულ პირებთან, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებსა და დონორ ორგანიზაციებთან.

მონიტორინგის საბჭო შეიქმნება კონკურსის გზით, სადაც მისი წევრები შეირჩევიან გენდერული პრინციპების დაცვით (საბჭოში შევა 10 წევრი, მათ შორის, ქალთა შემადგენლობა იქნება საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 30%). საბჭო შესაბამისი დაკვირვებისა და შეფასების მექანიზმების გამოყენებით, მონიტორინგის ანგარიშს მოამზადებს კვარტალში ერთხელ, გეგმის განხორციელების პროცესში ჩართულ ხელმძღვანელ პირებთან კოორდინაციის გზით. იგი პერიოდულად შეიმუშავებს შენიშვნებსა და რეკომენდაციებს, რასაც ყოველთვიურად განიხილავს პროექტებზე მომუშავე ჯგუფებთან, ხოლო 6 თვეში ერთხელ შემაჯამებელ ანგარიშს წარუდგენს თელავის მუნიციპალიტეტის მერს.